№4

აპრილი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაღუპული მეომარი ლევან მემანიშვილი სამხედრო პატივით დაკრძალეს

გვ:2

ხულუტის ციხე-დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება

გვ:2

ბოლნისის კოლორიტი პეტრე დანელია, მესამე წიგნზე მუშაობს

გვ:3

აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაღუპული მეომარი ლევან მემანიშვილი სამხედრო პატივით დაკრძალეს

28 წელი სოხუმის დაცემიდან და ასობით უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო. საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ და დაკარგულ მეომრებს ოჯახები დღემდე ელიან. ბოლნისიდან წასული 14 დაკარგული მებრძოლიდან ერთის ლევან მემანიშვილის ნეშტის იდენტიფიცირება მოხდა. მრავალწლიანი გაურკვევლობა მემანიშვილების ოჯახისთვის დასრულდა, საქართველოს გმირის ნეშტი სამხედრო პატივით ბოლნისის ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს.

,,2018 წლის ივნისში გაიხსნა სამარხები, დამიკავშირდნენ და მითხრეს, რომ თუ ჩემს ძმასთან დაკავშირებით რამეს მიაკვლევდნენ შემატყობინებდნენ. წლების განმავლობაში მიდიოდა შესაბამისი სამუშაოები თუმცა, არავინ არაფერს გვატყობინებდა ლევანის შესახებ, ამიტომ მქონდა იმედი, რომ ცოცხალი იქნებოდა. ამჯერად მოხდა იდენტიფიცირება რომლის პასუხიც 99%-ით დადებითი აღმოჩნდა და დღეს ჩემი ძმის ნატანჯი ნეშტი მივაბარეთ მშობლიურ მიწას,“ამბობს ლევან მემანიშვილის და ნონა მემანიშვილი.

1992-1993 წლებში აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაღუპული ბოლნისელი მებრძოლის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის მფლობელი სამხედროს, ლევან მემანიშვილის ნეშტის იდენტიფიცირება, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

,,აფხაზეთის ომმა არაერთი ბოლნისელის სიცოცხლე შეიწირა, მათ შორის ჩემი უახლოესი მეგობრების, ამიტომ ეს დღე ჩემთვის განსაკუთრებით ემოციური და სიმბოლურია. 14 უგზო-უკვლოდ დაკარგული ბოლნისელი მებრძოლიდან საქართველოს მთავრობისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ძალისხმევით, ჯერ მხოლოდ ლევან მემანიშვილის ნეშტის იდენტიფიცირება მოხერხდა. დღეს ჩვენი გმირი თანამემამულე მის მშობლიურ ქალაქში, სამხედრო პატივით დავკრძალეთ,სადაც უახლოეს მომავალში ძმათა სასაფლაო და მემორიალი მოეწყობა. ეს დღე ტკივილიანი და ამავე დროს სასიხარულოცაა, რადგან ჩვენ, თითოეულ ბოლნისელს საშუალება გვაქვს ლევანს დამსახურებული პატივი მივაგოთ. იმედი მაქვს, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული გმირების იდენტიფიცირება აქტიურად გაგრძელდება. ჩვენი მოვალეობაა არასდროს დავივიწყოთ საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისა და თავისუფლებისთვის დაღუპული გმირები. მჯერა, მათი თავგანწირვა შედეგს აუცილებლად გამოიღებს და ერთ დღესაც, ყველანი ერთად, ერთიან და განვითარებულ საქართველოში ვიცხოვრებთ,“განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

23 აპრილს იდენტიფიცირებულ 12 ნეშტთან ერთად, ლევან მემანიშვილის ნეშტიც ქ. თბილისში, სამების საკათედრო ტაძარში იქნა გადასვენებული. 24 აპრილს კი ბოლნისში ჩამოასვენეს, რამდენიმე წუთით მის საყვარელ ქუჩაზეც, მშობლიურ სახლთან გააჩერეს. 20 წლის გმირის პატივის მისაგებად, ღვთისმშობლის სახელობის ტაძართან მთელი ბოლნისი შეიკრიბა. ბოლნელმა მთავარეპისკოპოსმა მეუფე ეფრემმა ლევან მემანიშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა რის შემდეგ ნეშტი სამუდამო განსასვენებელში ძმათა სასაფლაოზე დაკრძალეს.

,,ჩვენთვის განსაკუთრებულად რთული, ემოციებით სავსე დღეა, 28 წლიანი მოლოდინის შემდეგ სამხედრო პატივით მშობლიურ მიწას მივაბარეთ აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიჩნეული ჩვენი თანამოქალაქე და თანამებრძოლი, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის მფლობელი, ლევან მემანიშვილი.

ის ერთ-ერთია იმ, 14 ბოლნისელთა შორის რომელთა შესახებ ინფორმაცია ჩვენთვის უცნობია. ვიმედოვნებ, რომ დანარჩენი 13 მებრძოლის კვალსაც უახლოეს მომავალში მივაკვლევთ. ამ ადამიანებმა ქვეყნის მთლიანობისთვის გაწირეს თავი და ჩვენი ვალია ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ მათ სათანადო პატივი მივაგოთ.

აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან გადმოსვენებულ იქნა აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული 13 პირის იდენტიფიცირებული ნეშტი, (6 სამხედრო, 7 მშვიდობიანი მოქალაქე) რომელთა შორისაც აღმოჩნდა სამხედრო პირი, ბოლნისელი მებრძოლი ლევან მემანიშვილი,“განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა გოგი მეშველიანმა.

ლევან მემანიშვილი ერთ-ერთია იმ უგზო-უკვლოდ დაკარგული 14 მეომრიდან, რომლებიც აფხაზეთში ქვეყნის თავისუფლებისთვის ბრძოლაში საკუთარი ნებით ჩაერთო, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა წავიდა იქ, სადაც ქვეყანას ყველაზე მეტად უჭირდა.,,მე დავკარგე მეგობარი, გია ჯოგლიძე, არ შეიძლება დავრჩე აქ, იქ ბიჭები იღუპებიან“ ეს მისი ბოლო სიტყვებია. წავიდა და მას მერე ყოველ დღე ელოდნენ მისი ოჯახის წევრები, იმედიანად ელოდა დედაც, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე შვილის გამოჩენაზე ლოცულობდა.

წავიდა სამხედრო მოსამსახურე და ქვეყანას დაუბრუნდა გმირი, გმირი რომელიც მისმა ქალაქმა დიდი პატივით მიიღო, გმირი რომელმაც ქვეყნის სიყვარულს ყველაზე ძვირფასი საკუთარი სიცოცხლე შესწირა, ასეთ გმირებზე დგას დღეს საქართველო....

ნონა ხუზმიაშვილი

ხულუტის ციხე-დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები იწყება

ქვემო ქართლის ტურისტულ მარშუტს მალე ახალი ლოკაცია შეემატება. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ეროვნული მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი ახალ სიცოცხლეს იძენს. ,,საყდრისის კომიტეტის“ ინიციატივით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, მასშტაბური პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო. „საყდრისის კომიტეტმა“ ხულუტის ციხესთან სარეაბილიტაციო სამუშაოების პრეზენტაცია გამართა.საწყის ეტაპზე ჩატარებულია ძეგლის სკანირება, გეოლოგიური და კედლის ქვის მნიშვნელოვანი კვლევები, რაც სამომავლოდ სწორად განსაზღვრავს ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოების სრული ნუსხას. პარალელურად მოწყობილია ციხესთან მისასვლელი ბილიკი, დადგმულია ხარაჩო, დასრულდა ძეგლის ხე-მცენარეებისგან გაწმენდა. ვინაიდან ციხე დარბაზის ცალკეული ნაწილები უსაფრთხო არ არის. დადგმულია გამაფრთხილებელი ბანერები. ძეგლზე მოსამზადებელ სამუშაოებს კომპანია RMG აფინანსებს. ძეგლი XVII საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება და ერთ-ერთ საუკეთესო ციხე-დარბაზად ითვლება გვიანი შუასაუკუნეების საქართველოში.საყდრისის კომიტეტის აღნიშვნით 5 კოშკისგან შემდგარი 8 სართულიანი ციხე- დარბაზი გამორჩეული ძეგლია და მისი ავთენტური სახით შენარჩუნება რესტავრატორებისთვის გამოწვევა იქნება.ხულუტის ციხე-დარბაზს “საყდრისის კომიტეტი” 2017 წლიდან იცავს და ის მე-6 ძეგლია, რომელზეც სარეაბილიტაციო სამუშაოები „საყდრისის კომიტეტის“ ინიციატივით და მონიტორინგით მიმდინარეობს.

შრომით და ძიებით გაცოცხლებული ჩვენი ქალაქის ისტორია

ჩვენი დროის ცოცხალი მემატიანე, ბოლნისელი კოლორიტი პეტრე დანელია, მესამე წიგნის დასრულების პროცესშია. სამტომეული წიგნის წერა ავტორს დღემდე უცნობი ისტორიული ფაქტების ჩვენამდე მოტანამ და გაცნობამ გადააწყვეტინა. ბატონი პეტრე წლების მანძილზე, აგროვებდა სხვადასხვა ისტორიული წყაროებიდან, (ეროვნული არქივი) და ნარკვევებიდან მასალებს, იღებდა ინფორმაციას ქალაქზე და მის მცხოვრებლებზე, ისმენდა მონათხრობს, არკვევდა ყველა წვრილმან დეტალს და მოპოვებულ სასურველ ინფორმაციას საკუთარ ქეისში ინახავდა.

წიგნში იშლება წლების განმავლობაში დაგროვილი ისტორიული ნარკვევები: სახალხო მეურნეობაზე, რელიგიაზე, კულტურაზე, ადამიანურ ღირებულებებზე, მულტიეთნიკურ ურთიერთობებზე და პრე-ქრისტიანული ბოლნისიდან დღევანდელ ბოლნისამდე.

პეტრე დანელია, წიგნის ავტორი:

-,,ალბათ ყველა ბოლნისელისთვის საინტერესოა, თუ რანი ვიყავით და რას წარმოადგენდა საუკუნეების მანძილზე ჩვენი მხარე. ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ XX-XXI საუკუნეებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევებით ბოლნისში აღმოჩენილია ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარები, ფეოდალური ხანის ხუროთმოძღვრების ძეგლები, ნაქალაქარები, ნასოფლარები, ციხე-სიმაგრეები, ქრისტიანული ტაძრები. მსოფლიოში პირველი ყურძნის მოყვანისა და ღვინის დაყენების ნიმუშები, განვითარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის არტეფაქტები და ძვ. წელთაღრიცხვის IV-III ათასწლეულების ძვირფასი მეტალების მოპოვება-გადამუშავების ნიმუშები. ფარნავაზის მეფობის პერიოდში (ძვ.წ.III) გაერთიანებულ საქართველოში, პირველად მოიხსენიება სამშვილდის საერისთაოში დასახლება „ბოვნისი", სადაც ძვ.წ.მე-2 ათასწლეულში გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სატრანსპორტო აბრეშუმის გზები, რომელიც დაკავშირებული იყო სპარსეთთან, ავღანეთთან, ინდოეთთან, შორეულ ჩინეთთან, სამხრეთით სომხეთთან და სირიასთან, აღმოსავლეთით საბერძნეთთან და საქართველოს სხვა რეგიონებთან. 736-738 წლებში ბოლნისის საერისთაოს, ისევე როგორც მთელ ქართლს, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა მურვან ყრუს ლაშქრობებმა. მურვან იბნ მუჰამადი საქართველოში არაბთა 120 000 ჯარით შემოიჭრა ალბანეთიდან, რომელმაც ბოლნის-რუსთავის გზის გავლით აიღო ქ.თბილისი და მთელი დასავლეთ საქართველო, ამის შემდეგ მე-XI საუკუნემდე, მთელი ქვემო ქართლი, თბილისის საამიროს შემადგენლობაში მოექცა".

სამივე წიგნში, ასევე ხაზგასმითაა ნახსენები, ბოლნისური ღვინისა და ვაზის შესახებ, რომელიც დღემდე აქტუალურია და ბოლნისურ ღვინოს უკვე საქართველოს ფარგლებს გარეთაც იცნობენ. იცნობენ ბოლნისელ მეღვინეებსაც, რომელთაც რამდენიმე ღვინის ფესტივალზე და გამოფენებში მოპოვებული აქვთ სხვადასხვა სახის მედლები და ჯილდოები.

,,ისტორიული და რელიგიური მასალებით ცნობილია და მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ საქართველო არის ის ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, სადაც ადამიანმა ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში ველური ვაზი „გააკულტურა" და გააშინაურა. იუდეველების და ქრისტიანული რელიგიის ძველი აღთქმის პირველი ნაწილი - „დაბადება" გვამცნობს, რომ სწორედ საქართველოში დიატომიტის ერთ-ერთ საბადოზე, ცარცის მაგვარ დანალექ კვარცის ფენებში, აღმოჩენილია მოყვითალო ფერის გაქვავებული 30 სანტიმეტრზე მეტი სიგრძის ვაზის შტამპი, რომლის ასაკი დაახლოებით 15 მილიონი წელია.

ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ბოლნისში, არქეოლოგიური გათხრების დროს, მეცნიერებმა თიხის ჭურჭლის ნატეხზე აღმოაჩინეს ღვინის დანალექი და განმარხებული ყურძნის წიპწები, რომელსაც თავისი მორფოლოგიური და აპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ვაზის კულტურის სახეობა - (Vitius Viniferasativ"-ს მიაკუთვნეს, რომელიც ძვ.წ.VII-VI ათასწლეულს განეკუთვნება, აქვეა აღმოჩენილი ძვ.წ. VI-V ათასწლეულის უძველესი მარნები და მათ შორის თერმოსის მსგავსი ორმაგ კედლიანი ქვევრები, რომლებიც სავარაუდოდ ღვინის თერმული დამუშავებისთვის იყო განკუთვნილი და ეს თავისთავად, ერთ-ერთი უნიკალური მოვლენაა მთელს მსოფლიოში," ამბობს წიგნის ავტორი.

ბატონ პეტრეს თავის ნაშრომებში ასევე დაწვრილებით აქვს აღწერილი სხვადასხვა წიგნებიდან, ისტორიული წყაროებიდან და მონათხრობებიდან 200 წლის წინ ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტების ცხოვრებისეული დეტალები, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს მაშინდელი ბოლნისის ეკონომიკის განვითარებაში და ქართულ-ევროპულ ურთიერთობებში. 2017 წელს გერმანელი კოლონისტების ჩამოსახლების 200 წლის იუბილისადმი მიძღვნილ კვირეულზე, რეჟისორმა ლაშა ნოზაძემ მაყურებელს, სწორედ პეტრე დანელიას ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით შექმნილი სპექტაკლი წარუდგინა. „ბოვნისი, ეკატერინენფელდი, ლუქსემბურგი, ბოლნისი", სადაც გადმოცემულია ტრაგიკული ისტორია, რომელიც კომუნისტური რეჟიმის დროს, კოლონისტი გერმანელების უეცარმა გადასახლებამ გამოიწვია.

პეტრე დანელია - გერმანელი კოლონისტები იყვნენ შრომისმოყვარენი, ჰქონდათ მრავალი პროფესია, იყვნენ მცოდნენი და მეტად მოწესრიგებულნი. დღემდე ბოლნისში შემორჩენილია და ფუნქციონირებს ღვინის ქარხანა, რომელიც 1908 წელს აშენდა, ასევე დღევანდელ სპორტულ კომპლექსში შემორჩენილია ლუთერანული ტაძრის ნიმუშები, ძველი გერმანული სახლები დამახასიათებელი სარდაფებით და სხვენებით. გერმანელ ხალხს ჰქონდათ დიდი კულტურა და განათლება, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათ დიდი როლი შეიტანეს ბოლნისის განვითარებაში და ხელი შეუწყვეს ქართულ-გერმანულ მეგობრულ ურთიერთობებს.

პ.ს. ჩვენი დროის ცოცხალი მემატიანე, ბატონი პეტრე დღემდე ძიებაშია, აგროვებს ისტორიულ-კულტურულ ნარკვევებს, სადაც ჩვენი ქალაქის წარსული და აწმყო სიღრმისეულადაა აღწერილი. მისი სურვილია, რომ თაობებს შემოუნახოს და გადასცეს ყველა ის დეტალი, რაც ბოლნისმა პრექრისტიანული ხანიდან დღემდე გამოიარა.

მარინა გავაშელი

პროექტმა „სამშობლოსმცოდნეობა"ათასობით ადამიანი გააერთიანა

„გულში დანთებული სიყვარულის ცეცხლი, რომელიც იშლება, ღვივდება და ადამიანების გულებს სწვდება" - სამშობლოსმცოდნეობის პედაგოგის ლექსო გელაშვილის ამ გზავნილმა, უამრავი ადამიანის გულში შეაღწია, მთლიანი საქართველო მოიცვა და მის ფარგლებს გასცდა. პანდემიის გამო, ონლაინ სივრცეში გადანაცვლებულმა პროექტმა, რომელიც საქართველოს პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და ჩოხოსანთა საზოგადოების დახმარებით ხორციელდება, უამრავი სხვადასხვა ასაკის ადამიანი გააერთიანა. სწავლება ხუთი კურსისგან შედგება და მოზარდი თაობის მშობლიურ ნიადაგზე აღზრდასა და ჰარმონიულ პიროვნებებად ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად.

2008 წელს დოკუმენტური ფილმების სტუდია „გუთანმა", სკოლის მოსწავლეთათვის დაიწყო შემეცნებითი კინოპროექტი „საქართველოს ხერხემალი". რიგით მეოთხე ფილმს „სამშობლოსმცოდნეობა" - უწოდა, რაზეც პატრიარქმა ბრძანა „ეს ფილმები სამშობლოსმცოდნეობის გაკვეთილებია, ჩვენი მომავალი თაობის აღსაზრდელად", რაც დაედო საფუძვლად სახელმძღვანელოების შექმნას, რომელიც ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდების ეროვნული ღირებულებებით აღზრდას.

„ეს წიგნი გვეხმარება დაფიქრებით შევხვდეთ ცხოვრებას, ადამიანებს, საკუთარ თავს, ყველას და ყველაფერს, მისი მიზანია იდეურად გაგვაცნოს სამშობლო - საქართველო, მისი სულიერი და კულტურული ღირებულებები, გაგვიღვივოს წინაპართა სისხლითა და ოფლით ჩვენამდე მოღწეული ძირძველი ქართული ფესვები, გვასწავლოს ღმერთის, სამშობლოსა და ზოგადად, ადამიანის სიყვარული, დაგვიხვეწოს ზნეობა და გემოვნება, შენში უნდა გადაარჩინო შენი წილი საქართველო. 26 წელია, რაც ამ პროექტზე ვმუშაობთ, უკვე შედგენილია სამი სახელმძღვანელო, ქართველები სათანადოდ არ ვიცნობთ ჩვენს სამშობლოს, სულიერი თვალსაზრისით, ამიტომაც, არ ვიცით როგორ და რა სახით გვებრძვიან, ამ ომში გამოუცდელები აღმოვჩნდით, ამ სახელმძღვანელოთი გადავწყვიტეთ მომავალ თაობას ძირეულად გავაცნოთ სამშობლო და, როდესაც გაიცნობს, შეიყვარებს და გაუჩნდება სურვილი ემსახუროს მას. ერთადერთი მიზანი ესაა", განაცხადა სტუდია „გუთანის" რეჟისორმა, სამშობლოსმცოდნეობის პედაგოგმა ლექსო გელაშვილმა.

სამშობლოსმცოდნეობა ონლაინ შეხვედრებს გასცდა და ქართული სულის გადარჩენისთვის, სხვადასხვა საკეთილდღეო საქმეების კეთება დაიწყო. სოფელი გუგუთი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სიმცირეს განიცდის, სკოლა დახურვის პირასაა, ამასთან დაკავშირებით, პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა სახის აქცია ჩატარდა. სამშობლოსმცოდნეობის პედაგოგმა და ჩოხოსანთა საზოგადოებამ მიზნად სოფლის და სკოლის გადარჩენა დაისახეს, რაც საზოგადოების მოთხოვნა იყო და შესაბამისი გამოხმაურება მოჰყვა.

მაგდა დევნოზაშვილი

ისინი ისტორიას საკუთარი ცხოვრებით წერდნენ



,,მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა" ,,აწმყოს, რომელსაც წარსული არ აქვს, არც მომავალი აქვს"

ილია მოვიშველიეთ და შევეცადეთ ისეთი ადამიანების ხსოვნა გავაცოცხლოთ, ვინც მთელი ცხოვრება წერდა პატარა ისტორიას, ქმნიდა ღირებულს, საინტერესოს, ვინც უბრალოდ მუშაობდა, დაბალ თუ მაღალ პოზიციაზე, ვინც გულწრფელად ემსახურებოდა ოჯახს და ქვეყანას, ვინც ზრდიდა, აფრთიანებდა და ცხოვრების ასპარეზზე უშვებდა მერცხალა გოგო ბიჭებს. ასეთები ბოლნისში მრავლად არიან, ისინი ახსოვთ, ისინი უყვართ, სწორედ მკითხველის თხოვნაა დავწეროთ მათზე, გავიხსენოთ და მომავალ თაობას გადავცეთ ამბავი, მათი მისაბაძი ცხოვრების შესახებ.

სულ მალე ბოლნისის თეატრს დაარსებიდან 80 წელი უსრულდება, ამასთან დაკავშირებით ჩვენი რუბრიკის საშუალებით გვინდა გავიხსენოთ ის მოამაგენი, ვინც წვლილი შეიტანა თეატრის ცხოვრებაში და გავაცნოთ მომავალ თაობას, მათ შორისაა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვახტანგ მიხელიძე.

,,ბოლნისის თეატრის დაბადებას, 1942 წლის 25 თებერვალს, პირველი სპექტაკლით ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა"–ჩაეყარა საფუძველი. 2022 წელს კი თეატრს დაარსებიდან 80 წელი უსრულდება,

თავს უფლებას მივცემ და პირად მოსაზრებას გაგიზიარებთ მათზე, ვისთანაც მომიწია შემოქმედებითი ურთიერთობა და მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩემზე.

არჩევანი შევაჩერე ვახტანგ მიხელიძეზე, რადგან იგი დაარსების დღიდან ბოლნისის თეატრში მუშაობდა და მქონდა პატივი მემუშავა მასთან, როგორც შემოქმედებით პარტნიორთან.

ბოლნისის თეატრი 1975 წლიდან გავიცანი, პირველი სპექტაკლიც ამ წელს ვითამაშე....1979 წელს კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელად დავინიშნე და თეატრში დამხვდა სულ სხვა მოცემულობა, მიზეზთა გამო, ხანგძლივი დროის მანძილზე უცვლელ რეჟისორს მიხეილ გაბიძაშვილს თეატრის დატოვება მოუწია, მას კი მთელი, ასე ვთქვათ ძველი თეატრის დასი გაჰყვა... თეატრს დაუდგა უმძიმესი პერიოდი...დარჩა ვახტანგ მიხელიძე ეულად,რომელმაც ვერ შეძლო თეატრის მიტოვება,მან შეითავსა რეჟისორის ურთულესი საქმე და დაიწყო ახალგაზრდებთან (რომლებიც თეატრში იყვნენ,შეავსო სრულიად ახალი სახეებით) მუხლჩაუხრელი შრომა....მე ვიტყოდი თეატრის ამ პერიოდის დაღმასვლა ვახტანგ მიხელიძემ–„თეატრის ბერმუხამ" სასიკეთოთ შემოაბრუნა და მაღალ შემოქმედებით ნიშნულამდე აიყვანა," ამბობს საბავშვო თეატრის რეჟისორი იზო ნიავაძე.

კინოსტუდია ქართულ ფილმში ხშირად შეხვდებით მაღალ–მაღალ თეთრწვერა, წარმოსადეგი გარეგნობის მამაკაცს... შეხვედრისთანავე შეატყობთ, რომ იგი ხელოვნების დიდი თაყვანისმცემელია. ტკბილმოუბარი, კეთილშობილი და სპეტაკი სულის ადამიანი, გატაცებით ჰყვება თეატრზე, კინოზე... გადასაღებ მოედანზე ბევრჯერ გვინახავს, რა საოცრად შვენის დიდებულის, თავადის, ეპისკოპოსის სამოსი, რომლის გარეგნობასა და მანერებში მთელი სისავსით მოჩანს ქართველი კაცის სიდარბაისლე, ხასიათი, ბუნება. იგი საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, სულხან–საბა ორბელიანის სახელობის ბოლნისის სახალხო თეატრის რეჟისორი და წამყვანი მსახიობი, საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი, მრავალი ოქროს მედლისა და პირველი ხარისხის დიპლომის მფლობელი, შრომის ვეტერანი ამასთანავე კინოსტუდია ქართული ფილმის პირველი კატეგორიის მსახიობი ვახტანგ მიხელიძე გახლავთ. (ასე იწყება სტატია რომელიც დაიბეჭდა 1989 წელს, გაზეთში „ქართული ფილმი", მისი ავტორია საქართველოს დამსახურებული არტისტი ვანო საყვარელიძე).

ვახტაგ მიხელიძე დაიბადა 1928 წლის 9 აპრილს და თითქმის 50 წელი უანგაროდ ემსახურა ბოლნისის რაიონში თეატრალურ და მუსიკალურ ხელოვნებას.

ვ. მიხელიძე 1945–48 წლებში სწავლობდა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალურ ათწლედში, მოგვიანებით წარჩინებით დაამთავრა ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, მუსიკის სპეციალობით.

1946 წლიდან ჯერ მამასთან ერთად,შემდეგ კი დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა სიმღერის ანსამბლს ბოლნისის კულტურის სახლსა და მეზობელ (დმანისი,მარნეული) რაიონებში.

ნაყოფიერი იყო ვ.მიხელიძის მოღვაწეობა ბოლნისის თეატრში.იგი იყო წამყვანი მსახიობი და არაერთი წარმატებული როლით გაამდიდრა თეატრის ისტორია,მათ შორის ხარიტონის სახე (პ.კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება"), აბენიკო (ვ.კანდელაკის „ამაღლებული სოფელი"),სკაპენი(მოლიერის „სკაპენის ოინები"),კოტე(ა.ცაგარელის „ხანუმა"),ყვარყვარე (პ.კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი") და მრავალი სხვა.

ვახტანგ მიხელიძის მიერ განსახიერებული ყვარყვარე ასე შეაფასა თეატრმცოდნე ნადეჟდა შალუტაშვილმა: ,,ამ დადგმის მთავარი ღირსება,ჩვენი აზრით ყვარყვარეს როლის მშვენიერ შესრულებაშია. მან ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით განასახიერა ეს რთული სახე სპექტაკლში, სრულიად გამოავლინა თავისი მსახიობური შესაძლებლობები, მის გარეშე შეუძლებელია ბოლნისის თეატრის წარმოდგენა.

1978–1988 წლებში ვ.მიხელიძე ბოლნისის თეატრს ხელმძღვანელობდა როგორც რეჟისორი.

მისი დადგმული სპექტაკლებია:მ.ჯაფარიძის „უსაშველო მაშვლები" ირ.ქავჭანიძის „ნისლიანი დღეები", ა.ცაგარელის „რევაზ თავქარიანი", გ.პრიედე „ცისფერი" ს.მთვარაძის „სახსოვარი",მ.ბერაძის „მზე ნეკერჩხლის ტყეში" და სხვა.

თეატრის პარალელურად ვ.მიხელიძეს იღებენ როგორც ქართულ, ისე მოძმე რესპუბლიკების სტუდიების ფილმებში. ესენია: თამადა(ბ. რაქველიშვილი „ბაკულას ღორები"), ეპისკოპოსი ლეონიდე (ლ. გორდელაძის „ბათა ქექია"), დიდებული (ვ. ტაბლიაშვილის „დიდოსტატის მარჯვენა"), ბრიგადირი (რ. ჩხეიძის „მშობლიურო ჩემო მიწავ"), დიდებული (გ. ლორთქიფანიძის „წიგნი ფიცისა"), მამასახლისი (პ. ჩარკვიანის „ზოგი ქირი მარგებელია"). აღსანიშნავია, რომ სერგო ორჯონიკიძის როლი შეასრულა ფილმებში „ალექსანდრე მიასნიკოვი" („არმენ ფილმი") და „პირველი დირექტორი" („სვერდლოვსკის კინოსტუდია").

1967 წლის 29 ნოემბერს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დამსახურებული

წვლილისთვის ვ.მიხელიძეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

p.s სტატია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ვახტანგ მიხელიძის შესახებ მომზადებულია ბოლნისის თეატრის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, რომელიც მოგვაწოდა რეჟისორმა იზო ნიავაძემ.

ელენი ბასილაშვილი საერთაშორისო საჯარო მეტყველების კონკურსის გამარჯვებულია

საჯარო მეტყველების კონკურსის სახელწოდებით- ,,გავაერთიანოთ ხმები ეს საუკეთესო გზაა ცვლილებებისთვის", გამარჯვებული დაბა კაზრეთის 2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ელენი ბასილაშვილია, რომელმაც კონკურსის ყველა ტური წარმატებით გადალახა და რვა ფინალისტს შორის გამარჯვებული გახდა. ელენი კონკურსში სამი წელია ერთვება, როგორც გაზეთ ,,ბოლნისთან" საუბარში აღნიშნა ასაკიდან გამომდინარე ეს ბოლო შანსი იყო, რომელიც მისთვის იღბლიანი აღმოჩნდა. მოლაპარაკებათა კავშირი კონკურსს ლონდონში ყოველწლიურად ატარებს, საქართველოში კი ბრიტანული მხარე ოცდამესამე წელია მართავს, მსოფლიოს მასშტაბით მასში ყოველწლიურად მილიონამდე 16დან-20 წლამდე ახალგაზრდა ერთვება. პანდემიის გამო გამარჯვებული წელს მსოფლიო ფინალში ზუმის საშუალებით ჩაერთვება, სადაც საქართველოს სახელით იასპარეზებს.

,,მესამე ცდაზე მოვახერხე გამარჯვება, ვფიქრობ ძალიან კარგი გამოცდილება იყო რადგან, ამ სამი წლის განმავლობაში, საკმაოდ გავიზარდე პროფესიონალური თვალსაზრისით. რა თქმა უნდა ემოციებით სავსე დღე იყო ჩემთვის თუმცა, ვფიქრობ რომ სწორედ ამ გამარჯვებით იწყება მეორე უფრო საპასუხისმგებლო ეტაპი. მე ვიქნები საქართველოს სახე საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც უკვე საუკეთესო მოწინააღმდეგეებთან მექნება ბრძოლა პირველობისთვის. იმედი მაქვს შევძლებ ჩემი თავის მაქსიმუმი ვაჩვენო და ვასახელო ჩემი ქვეყანა",განაცხადა გაზეთ ,,ბოლნისთან" ელენი ბასილაშვილმა.

გაზეთი ,,ბოლნისი" ელენის ფინალურ ტურში წარმატებას უსურვებს.

„რომელი სიტყვაა ლექსიკონში არასწორი“ - მარტივი კითხვების სტუმარია ცირა ადუაშვილი

„მარტივი კითხვების“ სტუმარი სურსათის ეროვნული სააგენტოს ბოლნისის ფილიალის მთავარი სპეციალისტი ცირა ადუაშვილია, რომელმაც საკმაოდ სახალისოდ უპასუხა ჩვენს მიერ დასმულ კითხვებს.

-თუ გსმენია მარტივზე და რა დაგამახსოვრდა?

-კი, მსმენია, როგორ არა, წლების წინ ჩემი მეუღლე იყო თქვენი რუბრიკის სტუმარი და მის მიერ მოყოლილი სახალისო ამბავი დღემდე მახსოვს.

-ძალიან კარგი, მოდი დავიწყოთ და ვიხალისოთ, არ არის ცოცხალი არსება, მაგრამ აქვს 5 თითი, რა არის?

-ნეტა რა იქნება?

-პანდემიამ ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობად აქცია, თუმცა ზამთარში გვათბობს.

-ხელთათმანი?

-კი, ხელთათმანი. რომელი სიტყვაა ლექსიკონში არასწორი?

-რომელიც არასწორია ალბათ.

-ჰო და რომელი სიტყვაა?

-არასწორი.

-კი ასეა. რომელი ხელით არის უმჯობესი ჩაის მორევა?

-მარჯვენით, ალბათ.

-ხელით ურევ ჩაის?

-არა, კოვზით.

-მართალია, კოვზით ჯობია. მაქამე და მე ვიცოცხლებ, მაგრამ დამალევინე და მოვკვდები, რა იქნება?

-აუფ, ეს არაა მარტივი.

-კი მარტივია, წყალს ასხამ და კვდება.

-ცეცხლი?

-დიახ ცეცხლია, რა სველდება, როდესაც ამშრალებ?

-პირსახოცი?

-ყოჩაღ, კარგი გოგო ხარ, პირსახოცია. რაც უფრო მეტად იღებ მისგან, უფრო იზრდება, რა იქნება?

-თესვა?

-შესაძლოა.

-მაშინ ორმოა.

-კი, კი ორმოა. მიდიოდნენ ცოლ-ქმარი, და-ძმა, ცოლის ძმა და სიძე, სულ რამდენი ადამიანი მიდიოდა?

-ხუთი?

-არა, ცოტა იფიქრე აბა.

-აა, სამი.

-კი, კი სამი. მე ვცხოვრობ, იქ სადაც შუქია, მაგრამ, როდესაც პირისპირ მანათებენ სინათლეს, ვკვდები, რა იქნება?

-არ ვიცი.

-ყველაფერს აქვს, იფიქრე.

-ჩრდილი?

-დიახ, ჩრდილია, რას შეუძლია იმოგზაუროს მსოფლიოში და ამავდროულად, იჯდეს ერთ პატარა კუთხეში?

-კორონა დაფრინავს ასე.

-არა, არაა კორონა, საფოსტო მარკაა.

-სულ კორონა მაგონდება, მოკლედ.

-რომელ სპილოს არ აქვს ხორთუმი?

-კაი ახლა ყველა სპილოს აქვს ხორთუმი.

-ჰო, მაგრამ არსებობს სპილო, რომელიც მაგიდაზე დადის და არ აქვს ხორთუმი.

-ქადრაკის ფიგურა?

-დიახ, დიახ. საღამოს მაძლევენ დავალებას, დილით უეჭველი უნდა შევასრულო და ვასრულებ კიდეც, მაგრამ ყოველთვის მლანძღავენ, ვინ ვარ?

-არავის ვლანძღავ მე.

-ნუთუ? აბა იფიქრე, საღამოს რას აძლევ ბრძანებას, დილით რომ შეგახსენოს თავი?

-მაღვიძარა?

-კი. მაღვიძარაა. რა იზრდება და არასოდეს მცირდება?

-არ ვიცი.

-ძალიან გვაწუხებს ეგ პრობლემა.

-ასაკი?

-ჰო, სამწუხაროდ. კარგი გოგო ხარ. დაასახელე მომდევნო სტუმარი?

-შეიძლება იყოს ჩემი მეუღლე სოსო რეხვიაშვილი?

-კი ბატონო.

-დიდი მადლობა.

დარეჯან ოქრუაშვილი

სალომე ხერგიანის რეალობად ქცეული ოცნება

ჯერ მხოლოდ 13 წლისაა და ოცნება, გამხდარიყო მოდელი, უკვე აისრულა. იოანე ბოლნელის სახელობის სასულიერო სკოლის მოსწავლე სალომე ხერგიანი სამოდელო-სააგენტო „კატრინას“ მოდელია, კონკურს-ფესტივალზე, სადაც მონაწილეობას სხვადასხვა ასაკის 28 მოდელი იღებდა, სალომე გამარჯვებულად სამ ნომინაციაში დასახელდა.

„ოცნების ასრულებაში ძალიან მეხმარებიან ჩემი მშობლები, მაქსიმალურად მიწყობენ ხელს, ადვილი არ არის ბოლნისიდან კვირაში რამდენჯერმე წასვლა, მაგრამ ისე ძალიან მინდოდა მოდელობა, რომ მაქსიმალურად დამიდგნენ მხარში, რამდენიმე თვეა დავიწყე სააგენტო „კატრინაში“ სიარული, რომლის ხელმძღვანელიც ეკა მგალობლიშვილია, მისი ორგანიზატორობით ჩატარდა კონკურს-ფესტივალი, ჟიურიში სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ, ამდენ კონკურსანტს შორის სამ ნომინაციაში “PHOTOMODEL-2021”, “QUEENOFT-HEYEAR”, “MIS TEEN PLANET-GEORGIA-2021”. დავსახელდი გამარჯვებულად. თავი სიზმარში მეგონა, ეს ჩემი ოცნების ახდენის დღე იყო“.

სამოდელო კარიერაში სალომეს წარმატებები გრძელდება, „კატრინას“ მოდელი საქართველოს სახელით მონაწილეობას მაისის ბოლოს, დუბაიში გამართულ საერთაშორისო სამოდელო კონკურსზე ამ ნომინაციით, „Miss Teen Planet-2021“ მიიღებს, ასევე ჩაერთვება საერთაშორისო მოდის კვირეულში, სადაც მიწვეულია სამოდელო-სააგენტო „კატრინას“კოლექცია ბრენდი „Luoys Anastasia Katrini“, ჩვენებაში სალომე უცხოელ მონაწილეებთან ერთად გამოვა.

მალარიის მსოფლიო დღე

2021 წელს, მალარიის მსოფლიო დღეს ჯანმო და გლობალური პარტნიორები აღნიშნავენ იმ ქვეყნების მიღწევებს, რომლებიც ახლოს არიან მალარიის ელიმინაციასთან. მიმდინარე წლის 21 აპრილს ჯანმომ გამოაქვეყნა ახალი ანგარიში „E-2020“, სადაც წარმოდგენილია მალარიის ელიმინაციის პროცესში მყოფი ქვეყნების საუკეთესო მაგალითები.

მალარია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა მსოფლიოში გლობალური კლიმატური ცვლილებებისა და სულ უფრო მზარდი მიგრაციის ფონზე.

მალარია: გლობალური და რეგიონული ტვირთი

2019 წელს, მსოფლიოს 87 ქვეყანაში დაფიქსირდა მალარიის 229 მილიონი შემთხვევა და 409,000 მალარიით გამოწვეული სიკვდილი.

5 წლამდე ასაკის ბავშვებში მალარიით გარდაცვალების ორი მესამედი სუბსაჰარული აფრიკის ქვეყნებზე მოდის.

2019 წელს მალარიით გარდაცვალების შემთხვევათა 94% მოდიოდა აფრიკის, 3% - სამხრეთ- აღმოსავლეთ აზიის, 2% - აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის და 1%-ზე ნაკლები დასავლეთ წყნარი ოკეანის რეგიონზე.

მალარია საქართველოში

- ისტორიულად საქართველოში მალარია ფართოდ გავრცელებული დაავადება იყო. ტროპიკული მალარია, როგორც ენდემური დაავადება, ლიკვიდირებულია 1954 წლიდან და ამჟამად რეგისტრირდება, მხოლოდ შემოტანილი შემთხვევები.
- სამდღიანი მალარია, როგორც ენდემური დაავადება, საქართველოში პირველად აღმოიფხვრა 1970 წლისათვის. 1996 წლიდან ის კვლავ გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანთან მოსაზღვრე რაიონებში.
- ამჟამად საქართველო მალარია ელიმინაციის სტადიაშია. 2013 წლიდან ადგილობრივი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.
- დღეს ჩვენი ქვეყნის მთავარი მიზანი მალარიისგან თავისუფალი ქვეყნის სტატუსის შენარჩუნებაა.
- მალარიასთან ბრძოლის საკითხში მიღწეული პროგრესი ქვეყნის, ჯანმო-ს და გლობალური ფონდის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

1) რა არის მალარია?

მალარია – ეს ინფექციურ დაავადებათა ჯგუფია, რომელთაც იწვევს სისხლის უმარტივესი პარაზიტები Plasmodium –ის გვარიდან. მათი გადაცემა ბუნებრივ პირობებში Anopheles –ის გვარის მდედრი კოღოების კბენის შედეგად ხდება.

ადამიანის მალარია მოიცავს 5 ნოზოლოგიურ ერთეულს: სამდრიური მალარია (Plasmodium vivax), ტროპიკული მალარია (Plasmodium falciparum), ოთხდღიური მალარია (Plasmodium malariae), ოვალე მალარია (Plasmodium ovale) და Plasmodium knowlesi-ით გამოწვეული მალარია, რომელიც ეხლახანს იქნა აღმოჩენილი ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე.

მნიშვნელოვანი როლი რიცხოვნობის მიხედვით ენიჭებათ ტროპიკულსა Plasmodium falciparum და სამდღიურ მალარიას Plasmodium vivax.

veb-gverdi: http://www.who.int/topics/malaria/en/
http://www.cdc.gov/malaria/

2) რამდენად საყურადღებოა მალარია?

მალარია ისტორიულად ერთ-ერთ უძველეს დაავადებათა ჯგუფს ეკუთვნის. ამჟამად მთელ მსოფლიოში ასზე მეტი ქვეყანა არის მალარიისთვის ენდემური. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ყოველწლიურად მალარიით ავადდება 350-500 მილიონამდე ადამიანი და მაგათგან მილიონიდან მილიონ სამას ათასამდე (უმეტესად 5 წლამდე ბავშვები) ამ დაავადებისაგან კვდება.

მალარია მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს. გლობალური კლიმატური ცვლილებებისა და სულ უფრო მზარდი მიგრაციის ფონზე სულ უფრო მეტი ქვეყნის წინაშე დგება მალარიის პრობლემა.

ტერიტორიის მალარიოგენურობის განმსაზღვრელი პირობებია:

- გარემოს ტემპერატურა (16ᴼC-ზე მეტი), რომელიც ხელს უწყობს გადამტანში პარაზიტის სპოროგონიის პროცესის დასრულებას.
- ტერიტორიაზე Anopheles –ის გვარის კოღოების არსებობა, რომელთაც უნარი აქვთ მიიღონ მალარიის გამომწვევები.
- მდედრი კოღოების ადამიანთან კონტაქტის (კბენის) აუცილებლობა და საშუალება.
- ტერიტორიაზე მოსახლეობის არსებობა

მალარიის გადაცემისათვის საჭირო ბუნებრივი პირობები ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის 51,6%-ზე. ამ ტერიტორიებზე განლაგებულია დასახლებული პუნქტების 80%, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობა დასახლებულია იმ ადგილებში, სადაც არის მალარიის გავრცელებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები.

პოტენციურად მაღალ-ენდემური ტერიტორიები საქართველოში

veb-gverdi:http://www.euro.who.int/en/home

3) როგორია საქართველოში მალარიის პრევალენტობა?

ისტორიულად საქართველოში მალარია ფართოდ გავრცელებული დაავადება იყო. ტროპიკული მალარია, როგორც ადგილობრივი დაავადება ლიკვიდირებულია 1954 წლიდან და ამჟამად რეგისტრირდება, მხოლოდ როგორც შემოტანილი. სამდღიური მალარია, როგორც ადგილობრივი დაავადება საქართველოში პირველად აღმოიფხვრა 1970 წლისათვის. 1996 წლიდან ის კვლავ გავრცელდა, როგორც ადგილობრივი ავადმყოფობა (ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში აზერბაიჯანთან მოსაზღვრე რაიონებში). ამჟამად საქართველო მალარია ელიმინაციის სტადიაშია. 2013 წლიდან ადგილობრივი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

დღევანდელ დღეს ჩვენი ქვეყნის მთავარი მიზანია მალარიისგან თავისუფალი ქვეყნის სტატუსის შენარჩუნება.

veb-gverdi:http://www.euro.who.int/en/home

4) როგორ უნდა გავიგო ვარ თუ არა მალარიით დაინფიცირებული?

მალარია უმრავლეს შემთხვევაში ვლინდება გამოხატული ციებ-ცხელების პერიოდით ე.წ. მალარიული შეტევებით (პაროქსიზმები). ინკუბაციური პერიოდის ხანგრძლივობა მერყეობს 8-30 დღემდე და დამოკიდებულია: მალარიის პლაზმოდიების სახეობაზე, პაციენტის ასაკზე, იმუნურ სტატუსზე და სხვა; სამდღიური მალარიის დროს, არის შემთხვევები, როცა დაავადების კლინიკა ვლინდება ხანგრძლივი 6-12 თვიანი ინკუბაციური პერიოდის შემდეგ.

ციებ-ცხელების დაწყებას წინ უსწრებს პროდრომალური პერიოდი: დაღლილობის შეგრძნება, თავის ტკივილები, სახსრების ტკივილი, გულისრევის შეგრძნება, ღებინება, მადის დაკარგვა. მალარიული შეტევები მეორდება ყოველ 48 საათში სამდღიური და ტროპიკული მალარიის დროს და ყოველ 72 საათში ოთხდღიური მალარიის დროს.

ტიპიური მალარიული შეტევა მოიცავს სამ სტადიას:

პირველი სტადია არის შემცივნება, იწყება მოულოდნელად ძლიერი შემცივნების შეგრძნებით. ავადმყოფი კბილს-კბილზე აცემინებს, მისი კანი არის მშრალი, (ე.წ. "ბატის კანი") ციანოზური ელფერით. შემცივნების სტადია გრძელდება 15-30 წუთი და გადადის ცხელების სტადიაში: ტემპერატურა მკვეთრად იწევს 39-41ᴼC, ავადმყოფი "იწვის", კანი ცხელი და მშრალია, სუნთქვა გახშირებულია, აქვს ძლიერი თავის ტკივილები, ღებინება, ბავშვებში დამახასიათებელია კრუნჩხვები. ცხელების სტადია მიმდინარეობს რამდენიმე საათი და გადადის პროფუზული ოფლის გამოყოფის სტადიაში: ტემპერატურა მკვეთრად ეცემა, იწყება გაძლიერებული ოფლდენა და ავადმყოფი სწრაფად იძინებს. გამოღვიძების შემდეგ ავადმყოფი თავს გრძნობს ჯანმრთელად და სურვილი აქვს ადგეს საწოლიდან. მთლიანობაში მალარიული შეტევები გრძელდება 4-6 საათი, რომელსაც ცვლის 40-60 საათიანი შესვენება მეორე მალარიულ შეტევამდე.

ტროპიკული მალარია ყველაზე მძიმეა მალარიის ფორმებს შორის. ამიტომ მას ავთვისებიანსაც უწოდებენ. ტროპიკულ მალარიას, განსხვავებით მალარიის დანარჩენი სახეობებისგან, არ ახასიათებს შეტევების პერიოდულობა. პირველი 5-6 დღეს შენარჩუნებულია მაღალი ტემპერატურა, რომელიც ეცემა მხოლოდ რამდენიმე საათით. ტემპერატურის ნორმალიზებისას არ არის სრული გამოჯანმრთელების შეგრძნება, როგორც სამდღიური მალარიის დროს. შემცივნება, სიცხე და ოფლი დამახასიათებელია ტროპიკული მალარიის შეტევების დროსაც, მაგრამ არ ხდება მათი სპეციფიკური მონაცვლეობა, თუმცა მოგვიანებით ორდღიანი პერიოდულობა მაინც ყალიბდება. ავადმყოფის ზოგადი მდგომარეობა უფრო მძიმეა, ვიდრე სამდღიური მალარიის დროს. დაავადების დასაწყისში, სერიოზული პრობლემების გაჩენამდე, ხშირად აღინიშნება კუნ-ნაწლავისა და სასუნთქი სისტემის დაზიანების ნიშნები. ტროპიკული მალარიის დროს, გართულებების ჩამოყალიბება და განვითარება მიმდინარეობს ძალიან სწრაფად და სპეციფიკური და დროული მკურნალობის გარეშე, სრულდება ადამიანის სიკვდილით.

მალარიის დიაგნოზი ისმევა, მხოლოდ ლაბორატორიული კვლევის შედეგად და მას ესაჭიროება სპეციფიკური მკურნალობა.

მალარიის გადაცემის მექანიზმი

მალარიის სიმპტომები

ცენტრალური ნერვული სისტემა - თავის ტკივილი (Central – Headache); სომატურად - ციებ-ცხელება (Systemic – fever); კუნთოვანი სისტემა - დაღლა, ტკივილები (Muscle - Fatigue, Pain); ზურგი - ტკივილები (Back – Pain); კანი-შემცივნება, ოფლიანობა (Skin – Chills, Sweating); ზედა სასუნთქი გზები - მშრალი ხველა (Respiratory-Dry Cough); ელენთა - გადიდებული (Spleen – Enlargement); კუჭი - გულის რევის შეგრძნება, პირღებინება (Stomach - Nausea, Vomiting).

veb-gverdi:http://www.webmd.com/a-to-z-guides/malaria-symptoms

http://www.cdc.gov/malaria/about/disease.html

5) როგორ უნდა მოვიქცე აღნიშნული სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში?

მალარიაზე ენდემურ ქვეყნებში წასვლისას მალარიის ქიმიაპროფილაქტიკისათვის მიზანშეწონილია ექიმთან კონსულტაცია (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრში), პროფილაქტიკის ვადების, პრეპარატის დოზებისა და მიღების სქემების გარკვევის მიზნით.

პირები, რომლებიც იმყოფებოდნენ ქვეყნებში, სადაც გავრცელებულია მალარია, ჩამოსვლის დღიდან სამი წლის განმავლობაში თუ იგრძნეს თავი შეუძლოდ და მალარიისთვის დამახასიათებელი კლინიკური სიმპტომებიდან თუნდაც ერთი აღენიშნათ, აუცილებლად უნდა მიაკითხონ სამკურნალო დაწესებულებას და გამოიკვლიონ სისხლი მალარიაზე.

სამედიცინო დაწესებულებები, სადაც უნდა მიაკითხოთ მალარიაზე საეჭვო პირებმა:

დკსჯეც-ის (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი) სათაო ოფისი მ. ასათიანის 9, თბილისი 0177; ტელეფონი: 239 89 46; ფაქსი: 243 30 59; e-mail: pr.ncdc@ncdc.ge

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი: მისამართი: თბილისი; აღმაშენებლის გამზ. 139; ტელეფონი: (995 32) 2 96 77 81; (995 32) 2 95 92 26;

სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის კვლევითი ცენტრი, მისამართი: თბილისი, თამარ მეფის გამზ 18, ტელ: (+995 32) 213 17 47, ელფოსტა: medpari@yahoo.com

veb-gverdi: http://www.ncdc.ge/

6) რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ მინიმუმამდე იქნას შემცირებული მალარიის ექსპოზიცია?

მალარიის ენდემურ კერაში მოხვედრისას, დაავადების პროფილაქტიკის მიზნით საჭიროა კოღოსგან თავის დაცვა.

დაცვის ყველა საშუალება შეიძლება შემდეგნაირად დავაჯგუფოთ:

- ეკოლოგიური - შეძლებისდაგვარად უნდა დამუშავდეს დაქაობებული ტერიტორია და უნდა აღიკვეთოს დაქაობების გამომწვევი მიზეზები. გუბურები უნდა დაშრეს, წყალსატევების ნაპირები გათანაბრდეს-გასწორდეს და დიდი წყალსატევების სანაპირო ზოლი ჩაღრმავდეს. წყალსატევები პერიოდულად უნდა გაიწმინდოს წყალმცენარეებისაგან. წყლის რეზერვუარები გადაიხუროს.
- ქიმიური - 1. დეზინსექცია:
- ფიზიკური - საცხოვრებელი ბინის ღიობები: კარი, ფანჯრები, მჭიდროდ უნდა იხურებოდეს და დაცული უნდა იყოს სპეციალური მწერსაწინააღმდეგო ბადეებით. მცირეწლოვანი ბავშვის საწოლს უნდა ჩამოეფაროს სამუმლე ბადე და კიდეები მჭიდროდ ამოეგოს ლეიბის ქვეშ.
- ბიოლოგიური - კოღოს წყლის ფაზების საწინააღმდეგოდ ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეფექტური საშუალებაა თევზი გამბუზიის (Gambusia affinis) გამრავლება. გამბუზია პატარა 3,5-7,5 სმ ზომის თევზია. გამბუზია კარგად ეგუება ნებისმიერი ტიპის წყალსატევს, არის ნაყოფიერი და გაუმაძღარი - შეუძლია დიდი რაოდენობის კოღოს მატლი და ჭუპრი გაანადგუროს. განსაკუთრებით ეფექტურია მცირე ზომის, წყალმცენარეებით ნაკლებად დაფარულ გუბურებში. გამბუზია მნიშვნელოვნად ამცირებს კოღოს რიცხობრიობას. ამ თვისებების გამო მას ფართოდ იყენებენ მალარიის კოღოს საწინააღმდეგოდ.

კოღო ანოფელესთან საბრძოლველად ფართოდ გამოიყენება ეგრეთ წოდებული ინსექტიციდები: მწერსაწინააღმდეგო ქიმიური ნივთიერებები. ეს ნივთიერებები იყოფა: ქლორორგანულ, ფოსფორორგანულ, კარბომატებად და პირეთროიდებად. ამ ჯგუფებიდან ეკოლოგიურად ყველაზე უვნებელია პირეთროიდების ჯგუფის პრეპარატები. პირეთროიდებს უწოდებენ მცენარეული წარმოშობის ინსექტიციდებს - პირეთრინს (მიიღება გვირილას ყვავილისაგან) და მის ქიმიურად სინთეზირებულ ანალოგებს, რომლებიც უფრო მდგრადია და ეფექტური. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ინსექტიციდებით შენობების შიდა დამუშავება, მალარიის კოღოსთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალებაა.

შენობების დამუშავება ინსექტიციდებით მოითხოვს ყველა წესის მკაცრ დაცვას და ჩვეულებრივ ხორციელდება დეზინფექციის სამსახურების სპეციალისტების მიერ.

რაც შეეხება დდტ-ს, რომელიც ქლორორგანული პრეპარატების ჯგუფს მიეკუთვნება, კანცეროგენული თვისებების გამო, მისი გამოყენება ნებისმიერი სახით არის საფრთხის შემცველი და აკრძალული.

ა.ა.ი.პ. ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“.

Bolnisi rəsmiləri müsəlman həmvətənlərini Ramazan ayının başlaması münasibətilə təbrik etdilər

"Müsəlman həmvətlərmizi Ramazan ayının başlaması münasibətilə təbrik edirəm! Bu ay hər biriniz üçün bütün yaxşılıqların, sevinclərin və əmin-amanlığın başlanğıcı olsun! "- deyə Bolnisi Bələdiyyə Başçısı Davit Şerazadişvili bildirib.

Gürcüstan Parlamentindəki Bolnisi, Dmanisi, Tetricğaro və Calka majoritar debutatı Qoqi Meşveliani, müsəlman vətəndaşları Ramazan ayının gəlişi münasibətilə təbrik edir. Təbrik mətni majoritar debutatın öz Facebook səhifəsində yayımlanıb.
,, Gürcüstanda yaşayan müsəlmanlar!
Bu ayın başlanması hər birinizə xoşbəxtlik, yaxşılıq, sağlamlıq və əmin-amanlıq gətirsin ”,-deyə Qoqi Meşveliani deyib.

Rustavi İnnovasiya Mərkəzi, tərəfdaşlarla ideya müsabiqəsi elan edir

Rustavi İnnovasiya Mərkəzi, tərəfdaşları ilə birlikdə yerli vətəndaş cəmiyyəti təşkilatları və icma qrupları üçün "İdeyadan Uğura" ideya müsabiqəsi elan edir. Müsabiqə vətəndaş cəmiyyəti təşkilatları, Bolnisi, Dmanisi və Marneuli bələdiyyələrinin icma qrupları üçün açıqdır.

Seçim prosesində böhrana bənzər Covid-19 pandemiya böhranı vəziyyətlərində davamlı olacaq ideyalar üstünlük veriləcəkdir. Layihə ideyaları www.orbeliani.net platformasına yüklənməlidir. Şəhər kateqori-yanızı dəyişdirin.

Layihə çərçivəsində qalib gələn ideya dəyərinin 90% -i ilə maliyyələşdiriləcək. İdeyalar alındıqdan sonra komissiya tərəfindən seçilmiş ən yaxşı ideyalar https://orbelianimeti.ge/ kraudfandinq platformasında yerləşdiriləcək və bunun vasitəsilə ideya müəllifləri əlavə maliyyə alacaqlar.

Müsabiqəyə ideyaların təqdim olunması üçün son tarix 10 Maydır.

Qeydiyyat və əlavə məlumat üçün linkə daxil olun: https://app.orbeliani.net/

Layihə Birləşmiş Millətlər Təşkilatının İnkişaf Proqramı (UNDP), Danimarka Xarici İşlər Nazirliyi və Gürcüstan hökuməti tərəfindən dəstəklənir. Hər hansı bir sualınız varsa, bizimlə əlaqə saxlayın: Rustavi İnnovasiya mərkəzi

Xuluti qalasının bərpa işləri başlayır

Bu yaxınlarda Kvemo Kartli turizm marşrutuna yeni bir yer əlavə ediləcək. Tetritcğaro bələdiyyəsində yerləşən milli əhəmiyyətli mədəni irs abidəsi yeni həyat qazanır. “Sağdrisi Komitəsinin” təşəbbüsü ilə Milli Mədəni İrsin Qorunması Agentliyi genişmiqyaslı bir layihə üçün hazırlıqlara başladı. "Sağdrisi Komitəsi" Xuluti qalasının yaxınlığında bərpa işlərinin təqdimatını keçirib.
İlkin mərhələdə abidə skan edilmiş, gələcəkdə abidə üzərində aparılacaq işlərin tam siyahısını düzgün müəyyənləşdirəcək mühüm geoloji və divar daşı tədqiqatları aparılmışdır. Eyni zamanda, qalaya giriş yolu düzəldilib, iskele qoyulub, abidə ağac və bitkilərdən təmizlənib. Qala salonunun müəyyən hissələri etibarlı olmadığı üçün. Xəbərdarlıq pankartları quraşdırılmışdır. Abidə üzərində hazırlıq işləri RMG şirkəti tərəfindən maliyyələşdirilir.

Abidə XVII əsrin ikinci yarısına aiddir və son orta əsr Gürcüstanının ən yaxşı qalalarından biri hesab olunur.

Sağdrisi Komitəsindən verilən məlumata görə, 5 qüllədən ibarət 8 mərtəbəli qala-zalı misilsiz bir abidədir və orijinal formada qorunması bərpaçılar üçün çətin olacaq.

Xuluti Qalası 2017-ci ildən bəri Sağdrisi Komitəsi tərəfindən qorunur və bərpa işlərinin “Sağdrisi Komitə-si” tərəfindən başladıldığı və izlənildiyi 6-cı abidədir.

Bolnisidə təmizlik aksiyası

"Mavi Axın" kampaniyası çərçivəsində Bolnisi Bələdiyyəsinin Muşevan kəndindəki dərə bu gün zibildən təmizləndi.

Bolnisi Bələdiyyə Meri Davit Şerazadişvili müxtəlif xidmət işçiləri ilə birlikdə təmizlik aksiyasına qatıldı. Kommunal xidmətlər şöbəsinin müdirinin qeyd etdiyi kimi, Muşevan kəndində zibil qutularının qoyul-masından sonra məişət tullantıları ilə çirklənmiş ev təsərrüfatlarının sayı xeyli azalmışdır.

Qeyd edək ki, təmizlik aksiyası bütün bələdiyyəni mərhələlərlə əhatə edəcək və əvvəlcədən seçilmiş yerlər bələdiyyə binasının müxtəlif struktur bölmələrinin işçiləri tərəfindən kommunal xidmətlə birlikdə təmizlənəcəkdir.

Bugünkü aksiya "Gürcüstan Yaşıl Hərəkatı / Dünya Dostları" nın dəstəyi ilə keçirilib.

Bolnisidə 9 apreldə vəfat edən qəhrəmanlar anıldı

9 aprel 1989-cu il faciəsindən 32 il ötür. 9 apreldə vəfat edən qəhrəmanlara hörmət etmək üçün Bolnisi xalqı bir daha Mədəniyyət və İstirahət Parkındakı anım mərasiminə toplandı. Bolnisi Bələdiyyəsi Meri anım mərasiminə çələng qoydu və faciəli bir gecədə həyatını qurban verən qəhrəmanlara ehtiramını bildirdi.

Tarixçi Ketevan Xeturianinin 9 aprel tarixini gənclərə bir daha xatırlatdığı Mədəniyyət Evinin yaxınlığın-da tematik bir guşə təşkil edildi. 9 aprelin birbaşa iştirakçıları da faciəli günün hadisələrini və faktlarını xatırladılar

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

,, არემჯიმ CSR FORUM 2021-ზე კომპანიის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პოლიტიკის შესახებ პრეზენტაცია წარადგინა"



სასტუმრო რადისონმა მედია ჰოლდინგ „ფაინენშალის" მიერ ორგანიზებული CSR FORUM 2021-ს უმასპინძლა, რომელზეც ბიზნესის წარმომადგენლებმა საკუთარი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ისაუბრეს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფორუმი არის ცოცხალი პრეზენტაციების ღონისძიება, რომლის მიზანია წარმოაჩინოს სოციალურად პასუხისმგებელიანი კომპანიების მიერ განხორციელებული პროექტები და მათი შედეგები. ღონისძიებაზე კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრეს ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა, გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელმა ანა ჩერნიშოვამ, საქართველოში იაპონიისა და საფრანგეთის ელჩებმა.

„არემჯი", რიგით მეექვსე CSR FORUM-ის გენერალური სპონსორია. კომპანიის კორპორაციულმა დირექტორმა ყველა ის მნიშვნელოვანი პროექტი წარუდგინა საზოგადოებას, რომელსაც კომპანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ახორციელებს.

„ვფიქრობ, რომ მსგავსი ფორუმები ძალიან მნიშვნელოვანია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. მოხარული ვარ, რომ მოგვეცა საშუალება ერთის მხრივ, გავუზიაროთ სხვა კომპანიებს ჩვენი გამოცდილება და მეორეს მხრივ უფრო დეტალურად გავაცნოთ დაინტერესებულ ჯგუფებს ჩვენი პოლიტიკა ამ მიმართულებით. ჩვენ გუნდს სჯერა, რომ სწორად დაგეგმილი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა პირდაპირ კავშირშია კომპანიის წარმატებასთან. ეს არ არის მხოლოდ დიდი და ძლიერი ბიზნესის საკეთებელი საქმე, ყველას შეუძლია საკუთარი წვლილი შეიტანოს, ჩვენი ქვეყნის, რეგიონის, გარემოსა თუ ადგილობრივი თემის განვითარებაში." – განაცხადა „არემჯის" კორპორაციულმა დირექტორმა კახაბერ მჭედლიშვილმა.

„როდესაც კომპანია ჩართულია კორპორაციულ სოციალურ პასუხისმგებლობაში, ის იღებს ყველაზე დიდ სარგებელს, რაც არის საკუთარი მომხმარებლების და მის ირგვლივ მყოფი ადამიანების ნდობა. ჩვენი მედია ჰოლდინგი მოხარულია, რომ ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა ეს მიმართულება და ბიზნესი ნელ-ნელა ხვდება მის როლსა და მნიშვნელობას. ეს არის რიგით მე-6 კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფორუმი და იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მასშტაბურად ჩავატარებთ ამ ღონისძიებას და კიდევ უფრო ბევრი მონაწილე გვეყოლება" - აღნიშნა **CSR FORUM 2021-ის პროექტის მენეჯერმა ომარ ხოფერიამ.**

ჯონი შერაზადიშვილი

„არემჯი კოპერის" გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი გამამდიდრებელი

ჯონი შერაზადიშვილი 20 წელია კომპანია „არემჯის" თანამშრომელია. 2002 წელს მუშაობა დაიწყო მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში. 2007 წლიდან კი გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი გამამდიდრებლის პოზიციას იკავებს. ასევე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, მარგი წიაღისეულის გამდიდრების კათედრაზე კითხულობდა ლექციებს მაპროფილებელ დისციპლინებში. აქვს სამეცნიერო ხარისხი და წოდება, გამოქვეყნებული აქვს სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები. ჯონი შერაზადიშვილი დასახელდა „2020 წლის სამთოელად".

„გამამდიდრებელ ფაბრიკაში წარმოებს სხვადასხვა ტიპის მადნების გადამუშავება, რაც რთული ტექნოლოგიური პროცესია. ფაბრიკის ხანგრძლივი ექსპლუატაციის გამო რიგი მანქანა-დანადგარები მოძველებულია, სრულყოფას საჭიროებს ტექნოლოგიური სქემაც. მიუხედავად აღნიშნულისა ფაბრიკის პერსონალის ძალისხმევით მიიღწევა გეგმიური მაჩვენებლები, რომლის გაუმჯობესების მიზნით, ახალი ტექნოლოგიური პრინციპების ასათვისებლად ფაბრიკაში ტარდება ექსპერიმენტული სამუშაოები და ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები. მიმდინარეობს ფაბრიკის სრული გადაიარაღება მაღალმწარმოებლური და მაღალეფექტური ტექნიკა-დანადგარებით. ეს ყველაფერი კი გაზრდის ტექნოლოგიურ მაჩვენებლებს. ჩემი 20 წლიანი საქმიანობის პერიოდში, კომპანიამ ყველაზე დიდ წარმატებას ბოლო ორ-სამ წელიწადში მიაღწია, რაც უპირველესად მენეჯმენტის და თითოეული თანამშრომლის დამსახურებაა. წინსვლას და წარმატებას ვუსურვებ კომპანიას, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ".

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი
პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.